საჯარო სამართლის იურიდიული
პირი – ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

LEGAL ENTETY OF PUBLIC LAW -
BATUMI SHOTA RUSTAVELI
STATE UNIVERSITY

MES 1 16 01127329

22/09/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორს, ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსული თქვენი 2016 წლის 21 სექტემბრის #1120318 წერილის პასუხად გიგზავნით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარის კორექტირებულ ვერსიას. აქვე გაცნობებთ, რომ პროგრამის მოდულის დასახელებას "ფიზიკური აღზრდა და სპორტი" მოვიყვანთ შესაბამისობაში პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 17 მარტის №4 გადაწყვეტილებით აკრედიტებული პროგრამის შესაბამისი მოდულის დასახელებასთან.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
მერაბი ხალვაში

საქართველო, ბათუმი 6010,
წინოშვილის ქ. №35
ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

საიდენტიფიკაციო კოდი
245428158
Identification Code

N35 Ninoshvili, 6010 Batumi,
Georgia
Tel/Fax (+995 422) 27 17 87
E-mail info@bsu.edu.ge

დანართი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	ბათუმი, ნინოშვილის 35
	პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	info@bsu.edu.ge (+995422) 27 17 80 (+995422) 27 17 87
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	მერაბ ხალვაში, (+995593) 17 97 55 m.khalvashi@bsu.edu
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	მადონა მიქელაძე 577 14 10 11 madonamikeladze@yahoo.com

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	ქართული ენისა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 17 მარტის #4 გადაწყვეტილება
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	110
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართი 1

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2150	15	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	არგუმენტირებული ესსე	

2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2150	10	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	არგუმენტირებული ესსე	
3	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2250	15	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
4	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
5	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
6	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
7	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
8	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
9	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	არგუმენტირებული ესსე	
10	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	გეოგრაფია	არგუმენტირებული ესსე	
11	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2150	15	ისტორია	არგუმენტირებული ესსე	
12	სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250	10	სამოქალაქო განათლება	არგუმენტირებული ესსე	
13	სპორტი	5	1850	5	სპორტი	არგუმენტირებული ესსე	
14	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	5	1900	5	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	არგუმენტირებული ესსე	
		110		110			

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ანკეტის შევსების თარიღი: 22.09.2016 წ. ბეჭედი რექტორი: ასოც. პროფესორი, მერაბ ხალვაში ხელმოწერა

მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი საბაზო და საშუალო სკოლის საგნის მასწავლებლის მომზადება და განათლების სისტემაში არსებული კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრა. პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები დაეუფლებიან მასწავლებლობისათვის აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს, ღირებულებებს, საგნის სწავლების დიდაქტიკას, შეძლებენ განახორციელონ მოსწავლეებისათვის ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად ხარისხიანი განათლების მიცემას.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე, ჩაერთოს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებთან, რესურსცენტრებთან და სხვა დამსაქმებლებთან.

პროგრამის გავლის შედეგად მისაღწევი შედეგები და კომპეტენციები:

კრიტერიუმები	კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	1. გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; 2. იცის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები; 3. აქვს პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება; 4. იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები; 5. იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; 6. იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; 7. იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	1. შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; 2. შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით; 3. შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; 4. შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; 5. შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება; 6. შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; 7. აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; 8. აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი.
დასკვნის უნარი	1. საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე შეუძლია ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოყალიბება; 2. შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	1. შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

245428158

	2. შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; 3. აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	1. აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; 2. შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
ღირებულებები	1. იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; 2. ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას; 3. აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.